



არსენალი

საქართველოს
ინფორმაციის
სამსახური

№ 11 (40), 2-15 ნოემბერი, 2007. „კვირის პალიტაკა“. საგზაო-ინფორმაციული ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი

**რაზარვა -
ხელი შეგნიდან**

1425
2007

**სიხი
სიკვდილი**

**მანაღვე მხოლოდ
ერთხელ სდება...**

**თურქეთის
საზღვაო-საჰაერო
ორგანი თავაში**

**მსოფლიო ომების
ნიბორია**

**ბაჰისკარის
ბრძოლა**

„არსენალი“ ნოემბრიდან თვეში ორჯერ გამოვა!



სამხედრო
ბიუჯეტი
შესაშვლ
იზრდება...

6



შენაღვე
შხოლოდ
ერთხელ
ცდება...

8



„შე გაემოვსადა
ჩევი ჩეზერავი...“

14

ცხვი
სიკვდილი



30



განკეგო
წინ!

36



„კალაშნიკოვის“
ნაჯვარი

54

სარჩევი

- კალენდოსკოპი _____
- 4 უცხოური ამბები
მოსაზრება _____
- 6 სტრატეგიული მართვის სისტემა
- 7 სამხედრო ბიუჯეტი მესამედ იზრდება... ბოლო ექვს თვეში
რეპორტაჟი სწავლებიდან _____
- 8 მენადმე მხოლოდ ერთხელ ცდება
ალიანსი _____
- 11 NATO-ს საინფორმაციო ცენტრი რეგიონებში
ტაივითი _____
- 12 ომის მონაწილის მოგონებები
ხელი შიგნიდან _____
- 14 „მე გამოვცადე ჩემი რეზერვი...“
სუვესამსახურები _____
- 17 თურქეთის სუვესამსახურების ორმაგი თამაში
- 20 ცვლტულები რუსეთის სუვესამსახურების ხელმძღვანელობაში
საქართველოს ისტორია _____
- 22 ტაშისკარის ბრძოლა
კონსულტაცია _____
- 24 კვალიფიციური რჩევები
იარაღი _____
- 25 „პიონი“ – ყვალთაზე მსხვილკალბრინანი და თანაც
თვითმავალი
საჭურველი _____
- 30 ცივი სიკვდილი
ჯავშანი _____
- 36 ტანჯეო ნინი
ომების მსოფლიო ისტორია _____
- 41 ქვეითთა როლი შუა საუკუნეებში
ფლოტი _____
- 45 ცუსიმას ბრძოლიდან ჩაკოს ომამდე
- 48 ჯუჯა წყალქვეშა ნავები
კროსვორდი _____
- 51 არსენალტვორდი
განტვირთვის გვერდი _____
- 52 ყვალთაზე ბრწყინვალად ჩადენილი დანაშაულები
„არსენალის“ იარაღის მალაზია _____
- 54 ბულგარული „კალაშნიკოვის“ და ებრაული სამიხნის
წარმატებული ნაჯვარი

არსენალის სვეტი

ჩვენმა ერთგულმა მკითხველმა კარგად იცის, რომ ჟურნალი „არსენალი“ მესამე წელია გამოდის. ამ ხნის განმავლობაში ის არის ერთადერთი სამხედრო თემატიკის დამოუკიდებელი ჟურნალი. ამ პერიოდში „არსენალში“ ბევრი შეცდომაც გაგვაპრვია, მაგრამ ბევრი საინტერესო ჟურნალისტური მიგნებაც გვქონია. ასეა თუ ისე, „არსენალმა“ მუდმივი მკითხველი დიდი ხანია შეეძინა. ერთგულ მკითხველს კი ახალი სურვილი გაუჩნდა, იხილოს და იკითხოს „არსენალი“ არა თვეში ერთხელ, არამედ ორჯერ.

ორ კვირაში ერთხელ ასეთი თემატური ჟურნალის გამოცემა საქართველოში ძალიან რთულია, მაგრამ რედაქცია ითვისისწინებს მკითხველთა სურვილს და ჟურნალი „არსენალი“ ნომბრის თვიდან ორ კვირაში ერთხელ გამოვა.

გვისურვებთ წარმატებები, თქვენთან ერთად!

ირაკლი კლავაშვილი
გიორგი შორაშვილიანი

ყარულაბა!
ხშირია შემთხვევა,
როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოინეროთ „არსენალი“ და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40

რედაქციის დაუეთხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის“ ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გახუთ „კვირის პალიტრის“ დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
email: arsenal@kvispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბირთვული საბრძოლო ქობინების ტრანსპორტირებისათვის 70 კაცი დაინაჟა



აშშ-ის ტერიტორიის თავზე ბორტზე ბირთვული საბრძოლო ქობინები ბომბდამშენი B-52-ის გადაყვანის გამო დაისადგინა ის პირები (70 კაცი), რომლებსაც ამ საქმესთან უშუალო კავშირი ჰქონდათ. აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების შეთავაზების წარმომადგენელ რიზარდ ნიუტონის განცხადებით, მიხილსა და ჩრდილო დაკოტაში განთავსებულ ბაზებში, სადაზავ აფრინდა ბომბდამშენი, და პარკსელივსა და ლეიზიანაში, სადაც დაეცა, საბრძოლო ქობინებთან მუშაობის წესები უზუსდ დაირღვა. ამის გამო ოთხი თვეცერი ვათავისუფელდა სამეთაურო თანამდებობიდან, დანარჩენებს კი ბირთვულ აარალიან მუშაობა აუკრძალეს. ინციდენტის ვამოიძიებ ცხადყო, რომ ბაზების მოსამსახურეთა გულგრილობისა და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების შედეგია, რომ B-52-ის ბორტზე ბირთვული ქობინების მქონე რაკეტები აღმოჩნდა. რაკეტები მართლაც უნდა ნაეტრანი ლეიზიანაში, მაგრამ ვაფრინის წინ საბრძოლო ქობინები უნდა დაეხსნათ. ანონიმი წყაროს ინფორმაციით, ნაკვლად იმისა, დაეკვათ ბირთვული ქობინების მონიტორინგის პროცედურები, ბაზის პერსონალმა ვაღწვევტა თავისი „არაფორმალური“ სქემით ემოქმედა. ამისთან, თვითმფრინავის ეკიპაჟს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ბომბდამშენ B-52-ზე სამი ფრთიანი რაკეტა დაეკნა. მთორე დილას თვითმფრინავი ლეიზიანაში ვაფრინდა, მაგრამ ბირთვული ქობინები ექ მხოლოდ 24 საათის შემდეგ აღმოაჩინეს. მომხდარზე ინფორმაცია მასშტაბში ერთი კვირის შემდეგ ვამხარდა.

„ველკანი“ 14 წლის შემდეგ კაერში აფრინდა

კომანია AVRO-ის დამუშავებული ბომბდამშენი „ველკანი“ შეიარაღებულან მოხსნის მე-14 წლისთავზე კაერში აფრინდა. სტრატეგიული რაკეტშიხილი დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებიდან 14 წლის წინ ამოიღეს. რესტავრირებულმა თვითმფრინავმა ვეტრანთა ეკიპაჟით, 20-წუთიანი ვაფრენა განახორციელა, რომლის დროსაც ათას ვირვანკა სტერლინგზე მეტი ღირებულების საწვავი დახარჯა. თვითმფრინავები AERO VULCAN-ები შეიარაღებაში ვასული საუკუნის 50-იან წლებში მიიღეს დანიშნულებით მსგავს VICTOR-ებთან ერთად (VICTOR-ები ფირმებმა HANDLEY PAGE და VALIANT-მა და VICKERS-მა დაამუშავეს). „ამ V“-ს შორის „ველკანი“ ყველაზე ეფექტიანი თვითმფრინავი ვამოღდა. ამ ტიპის ბომბდამშენები შეიარაღებაში ვასული საუკუნის 90-იან წლებამდე რჩებოდნენ და ფოლკლენდის ომში მონაწილეობდნენ. „ველკანის“ ასაფრენი მასა 90 ტონას აღემატება, მაქსიმალური სიჩქარე საათში 1006 კილომეტრს აღწევს, მოქმედების რადიუსი 3700 კილომეტრს შეადგენს, რაც შეიძლება კაერში საწვავის შევსების შედეგად ვახარდოს კიდევ.



რუსეთი Cy-34-ებს შეიხიყიღოს

„რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები 2015 წლამდე 70-ზე მეტ Cy-34-ის იყიდოს“, – ვანაცხადა სამხედრო-საჰაერო ძალების პოლკოვნიკმა ალექსანდრ დრობიშევსკიმ. ამჟამად Cy-34 სახელმწიფო ვამოციდის მთორე ეტაპს ვადის. პირველი წარმატებით დასრულდა ვასული წელს. მთორე ეტაპზე, რომელიც 2009 წელს დასრულდება, ყურადღება ვამახვილებულია თვითმფრინავის საბორტე სისტემებსა და შეიარაღებაზე. ამ ეტაპზე ვამოცდლები შეამოწმებენ თვითმფრინავ Cy-34-ის საბრძოლო ვამოყენების ეფექტიანობასაც. სეროულმა Cy-34-მა, რომელიც უკვე ლიეკეის ავიაციენტრშია, მოლოდინს ვადააჟვარა. Cy-34 სიმძლავრით ბომბდამშენს უტოლდება, ხოლო მართვის მხორე კი საფრინტო ვამანადგურებელს. ასეთი აზრი აქვთ რუს სამხედროებს...



მოღარნიზებული F-16-ები იორდანისთვის

იორდანიულ გამანადგურებლებს F-16A-ებს თურქეთის დახმარებით მიღერნიზება ჩაუტარდება. იორდანიული F-16-ები ავებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში. მიღერნიზაციის შედეგად თვითმფრინავები აღჭურვებიან სრულყოფილი რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებით და შეიარაღების უფრო ფართო არსებლასაც გამოიყენებენ, მათ შორის საშუალო სიშორის რაკეტას „კაერი-კაერი“ და მართვად „კაერი-მიწას“. იორდანიის სამხედრო-საჰაერო ძალები, ძირითადად, დაკომლექტებულია ამერიკული და ფრანგული წარმოების მანქანებით. იორდანიას ჰყავს 54 გამანადგურებელი F-5E/F და სხვადასხვა სერიის 30 გამანადგურებელი MIRAGE F.1C.



ამერიკელს აღჭურვილობა 100-ჯერ გაუძვირლათ

მეორე მსოფლიო ომის დროს ჯარისკაცის აღჭურვილობა, 2006 წლის ფასების მიხედვით, 170 დოლარს შეადგენდა, 2007 წელს კი მან 17,5 ათას დოლარს მიაღწია. სხვადასხვა პროვოზით, შემდეგი ათწლეულის შუახანებში 28-დან 60 ათას დოლარამდე გაიზარდა. 1941-45 წლების ამერიკელი ჯარისკაცის შეიარაღებაში იყო შაშხანა, ჩაფხუტი, დახვეული მახარა და მათარა. მიუღ ალჭურვილობა, საბრძოლო მარაგის ჩათვლით, 16 კილოგრამს იწონდა. კვიტანამის ომის დროს ჯარისკაცებს ახალი იარაღი მიიღეს, გარდა ამისა, სტანდარტულ აღჭურვილობაში შევიდა ვაჟმანქილუტი და ეკიპირების ღირებულებამ 1,1 ათას დოლარს მიაღწია. ამჟამად ერავსა და ავღანეთში მებრძოლი ამერიკელი ჯარისკაცები აღჭურვილი არიან კომპოზიტური მასალით გაკეთებული ვაჟმანქილუტებითა და ჩაფხუტებით, დამცავი სათვალებით, ცეცხლგამძლე საშოსით, ხელოაიმინებითა და წაღებით, ღამის ხედვის ხელსაწყოებითა და ლაზერული მიზანმარტვნელებით. მათ შეიარაღებაში შედის 80 სავანზე მეტი, რაც საერთო ჯამში დაახლოებით 34 კილოგრამია.



აშშ-მა იაპონიაში რაკეტასწინააღმდეგო კომპლექსი კომპლექსი განათავსა

აშშ-ის შეიარაღებული ძალების მეთაურობამ იაპონიის ჩრდილოეთით მოხილური რაკეტასწინააღმდეგო კომპლექსი განათავსა. იაპონიის თავდაცვის უწყების ანონში წარმომადგენლის თქმით, ამ კომპლექსის იაპონიაში განათავსება ორ ქვეყანას შორის ერთობლივი თავდაცვის შესახებ შეთანხმების ფარგლებში ხდება და უპირველესად მიმართულია ჩრდილო-კორეული სარაკეტო მუქარის მოსაგერებლად. პრეფექტურა აომორისში სამხედრო-საჰაერო ბაზაში განათავსებული მიობილური კომპლექსი მიიღებს რაკეტის გაშვებაზე თანამგზავრულ სიგნალს, ჩატარებს რაკეტის საგარაულო ტრაექტორიის ანალიზს და აშშ-ისა და იაპონიის თავდაცვის უწყებებში ინფორმაციას გადასცემს. ტოკიომ და აშშ-მა ერთობლივი რაკეტასწინააღმდეგო პროგრამის შეტყუება მას შეუძღვ დაიწყეს, რაც ჩრდილო კორეამ გასულ წელს რამენიმეჯერ გაუშვა ბალისტიკური რაკეტები და გამოცდა ბირთვული მუქტი. უსაფრთხოების შესახებ ომშირე შეთანხმების თანახმად, იაპონიის ტერიტორიაზე დაახლოებით 50000 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეა.

ბულგარეთი ფრანგულ ურინავრებს იყიდის

ბულგარეთსა და საფრანგეთს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება ოთხი კორვეტი-უინმანინის მიწოდების თაობაზე. „ფრინდის“ ტიპის კორვეტები ვანკუთენილია სანაპირო და სახლავო ზონებში მოქმედებისათვის. მათი პროექტირებისა გამოიყენეს ტექნოლოგიები, რომლებიც შეიმუშავეს „აკვიტანას“ ტიპის ფრეგატების აგებისას (ცნობილია ასევე როგორც FREMM-კლასის ფრეგატები). ამჟამად შეიმუშავებული „ფრინდის“ ტიპის კორვეტების ოთხი მიდიფიკაციის წყალწვეა 1200-დან 2000 ტონამდეა. სახელდობრ რომელი მიდიფიკაცია ანტერესებს ბულგარეთის ფლოტს, ვერავრობით, უცნობია. ამ ტიპის ხომალდები ვანკუთენილია წყლისზედა და სანაპირო სამიზნეების გასანადგურებლად, ასევე შეუძლიათ წყალქვეშა ნაგებისა და მტრის თვითმფრინავების შეტყვის მოგერება.



სპრავაბიულო გაროვის სისტემა

საუკუნეთა განმავლობაში ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორი, რომელიც განაპირობებს სამხედრო მართვის სისტემის პარამეტრებს ან ადრევეს, პოლიტიკისა და სამხედრო სტრატეგიის რაციონალური შეფარდება-შერწყმაა. დაახლოებით 200 წელია ურყევი რჩება აღიარებული პოსტულატი იმის შესახებ, რომ ომი არის ძალიანძვირი მითითებით პოლიტიკის გაგრძელება. მასადაამე, პოლიტიკა არის ერთი მილიანი, ხოლო ომი – მისი ნაწილი, რაც განსაზღვრავს პოლიტიკის პრიმატს, მის უპირატესობას სამხედრო სტრატეგიასთან.

სამხედრო სტრატეგიის შერჩევა თანაბრადაა დამოკიდებული ომის მიზნებსა და არსებულ საბრძოლო საშუალებებზე. ომების უძრავი სიბრძნეა სამხედრო წარმატებისა და კონფლიქტის ესკალაციის თავიდან აცილების მცდელობათა ზღვრულ მზნებს შორისა მოქცევა. ასეთ დროს სტრატეგია სამხედრო შესაძლებლობებსა და მიზნების შესაბამისად მუშავდება.

სამხედრო სტრატეგიის დონეზე უმაღლეს ალტერნატივას წარმოადგენს „გამარჯვება“ ან „დაუმარცხებლობა“. პირველი ვარიანტის იმას, რომ სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს მოწინააღმდეგის შეთარაღებულ ძალებზე გადამწყვეტი გამარჯვება, რათა გამარჯვებულმა შეძლოს განაირადებული მოწინააღმდეგისათვის თავისი პირობების კარნახი. იმ დროს, როდესაც ძალიან შეუარება გამორიცხავს ამ შესაძლებლობას, მხედრობითურმა შედეგმა აირჩიოს „დაუმარცხებლობა“ ვარიანტი – მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგის გამარჯვებისკენ სრულყოფილი დათრეფა.

სტრატეგიული მართვა ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებდამუშავებული თემა ქართულ პოლიტიკოლოგიასა და სამხედრო მეცნიერებაში. ამიტომ იყო, რომ საქართველოს სამხედრო-სტრატეგიული მართვის სისტემის ორგანიზება საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი სამხედრო-პოლიტიკურ სუსტ წერტილს წარმოადგენდა, რასაც მივყავით ხან სამხედრო დამარცხებების, ხან დიდ დანაკარგთან.

ოპტიმალურად ჩამოყალიბებული სამხედრო-სტრატეგიული მმართველობის სისტემის (სსმ) მიწოდებასა ჩვენს ქვეყანას დღემდე სათანადოდ არ აქვს ვაზრებული. არადა, გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი სტრატეგიული მართვის სისტემას ეკისრება.

სსმს უპირველეს ყოვლისა, სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერაული ომებისა და შეთარაღებული კონფლიქტების ხასიათს, რომელიც შესაძლებელია შეცვალოს საქართველო უახლოესი 20-25 წლის განმავლობაში.

კიდევ ერთი აუცილებელი მოთხოვნა, რომელიც შესაძლებელია წყვეტულ ექნას სტრატეგიული მართვის ოპტიმალურ მოდელს – ესაა დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს ნორმებთან შესაბამისობა. ეს არ გახლავთ პოლიტიკური ახირება, სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის საჭიროა ყველაზე რაციონალური სისტემის არჩევა.

სსმ-ს უნდა ჰქონდეს შემდეგი ფუნქციები:

- * სტრატეგიული გეგმების შემუშავება და შეთარაღებული ძალების სტრატეგიული, ასევე ოპერაციების ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა და უმაღლესი ერთეული სამხედრო ავტორიტეტების მითითებით სხვა სამთავრო ფუნქციების შეთანხვება გაერთიანებული ან სპეციალური სარდლობების მერ;

- * შეთარაღებული ძალებისათვის სამხედრო-სახელმძღვანელო მითითებების წარდგენა და თავდაცვის სააგენტოების დეტალური სამხედრო გეგმების შემუშავების პროცესში;

- * ერთობლივი სამხედრო დოქტრინების, ასევე სამხედრო განათლების ორგანიზების კოორდინირების საკითხების შემუშავება;

- * თავდაცვის მინისტრის ინფორმირების ორგანიზება და ქვეყნის მრეწველობის მიზილიზების პროგრამების შემუშავება-განხორციელება;

მაგალიტად, აშშ და NATO-ს წევრი რამდენიმე ქვეყნის სსმ-ის ჯაჭვი ასე გამოიყურება: პრეზიდენტი-თავდაცვის მინისტრი-საბრძოლო და სპეციალური სარდლობები. გაერთიანებული შტაბების კომიტეტის თამყდომარე შესაძლებელია ჩართულ იქნეს ამ ოპერატიულ ჯაჭვში პრეზიდენტის ან თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით, ბრძანებებისა და განკარგულებების გადაცემის უფლებით. გაერთიანებული შტაბების კომიტეტის უძლიერეს მხარეს წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ ის არ არის დამამბებული ყოველდღიური ადმინისტრაციული ფუნქციების უზარმაზარი მოცულობით, რაც გაზრდიდა მის სტატუსს სახელმწიფოს ბიუროკრატიაში, თუმც შეამცირებდა მის,

როორც „არმიის ტვინის“, ოპერატიულ-სტრატეგიული გეგმების შემუშავების როლს სსმ-ში.

უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მოდელი მხოლოდ ერთ-ერთია. მოუხედავად მისი უმარავი დადებითი თვისებისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტორი, რომ ეს სისტემა მორატეგულია კონკრეტული (მაგ. აშშ) ერთეული უსაფრთხოების სისტემაზე, თავისი სამიქლავი სამინისტროებითა და საბრძოლო სარდლობებით. ამდენად, მისი ბრმად გადმოტანა ქართულ სინამდვილეში არ არის გამართლებული.

ზახი უნდა გავხსოვდეთ იმ რეალობაში, რომ სსმ-ში სტრატეგიულ-ოპერატიულ დაზვერვას უადრესად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. ამასთან, დაზვერვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აბოცანად რჩება არა მარტო უცხო ქვეყნის შესაძლებლობების, არამედ მისი ჩანაფიქრის გამოვლენა და შეფასება. უნდა ათავაღისწინებულ იქნეს, რომ დღევანდელი ტექნიკური საშუალებების კოლსაღური შესაძლებლობების მოუხედავად, დაზვერვის სფეროში ადამიანის ფაქტორი კვლავინდებურად უადრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

აქსიომაა, რომ სწორი გადაწყვეტილების მიღების საუკეთესო უნდა წარმოადგენდეს არა მარტო სავარაუდო მოწინააღმდეგის, არამედ საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების სწორი შეფასება. შესაძლოა, ასეთი ინფორმაციის მიღება სტრატეგიულ დონეზე არანაკლებ რთულ ამოცანას წარმოადგენდეს საქართველოსთვის, ვიდრე მოწინააღმდეგეზე მონაცემების მოპოვება, რაც ზნირად გამოსწვევლია სამხედრო უწყვეტობა, სახეობა სახელმწიფოში და ა.შ. არსებული შიდაგუფური ინტერესების არსებობით. საკუთარი შეთარაღებული შესაძლებლობებზე ობიექტური და ყოველმხრივი ინფორმაციის გარეშე უმაღლესი სახელმწიფო ხელმძღვანელმა ვერ შეძლებს ადეკვატური სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებას. ამდენად, საქართველოს სსმ-ში ეს რელი მაქსიმალური ეფექტიანობით უნდა შეასრულოს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის კვლითიკური სპეციალისტებით დაკომპლექტებული განყოფილებამ (ან თავდაცვის სამინისტროს განჩისპექციის ერთ-ერთმა განყოფილებამ). ასევე, შესაძლებელია ცალკე ჩამოყალიბდეს თავდაცვის მინისტრის აპარატთან, რისი მა-

„მწეობრივი და ეუფექიანი მართვა ცხოვრებისეული აუცილებლობა და ომის წარმოების საუქმელია“.

„სიმა ფა“ – ჩე.წ.ალ-მლე IV საუკუნის ჩინური გრატიკა

გალითც უამრავი მოწინავე ქვეყნის თავდაცვის სისტემა(ში), რომელიც არ იქნება ინტერესებით დაკავშირებული რომელიმე სახეობის ძალებსა და თავდაცვის შესყიდვებთან. ამის ხორცშესახსხელად კი, სულ ცოტა, პროფესიონალი, მცოდნე და გამოცდილი კადრება საჭირო.

საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის კიდევ ერთ, ჩემი აზრით, მტკიცეული საკითხია სამხედრო პროფესიონალიზმი, რომელიც მხოლოდ დასაქმების ფორმასა და ანაზღაურებას არ მოიცავს.

სსს-ში გაერთიანებული (გენერალური) შტაბი, რა თქმა უნდა, უშიშვნელოვანეში ელემენტია. სწორედ მისი ინტელექტუალური ძალა განსაზღვრავს მის ამ დიდ როლს. ცნობილია, რა უშედეგო იმუშავა სსს-მ სსრ-ში მჭირე მსოფლიო ომის დაწყების წინ და პირველი პერიოდში. ეს გამოწვეული იყო იმ დანაკარგი, რომელიც სტალინის რეპრესიების შედეგად განიცადა მისმა ველაზე ფასულმა კომპონენტმა – ადამიანებმა, რის გამოც თითქმის მილიანად განადგურდა ინტელექტუალური მესსიერება – ნებისმიერი მართვის სისტემის ერთ-ერთი მოვარე ატრიბუტი. ამის მიზეზი გახდა სტალინის იდეის (შეუცვლელი ხალხის ანარქიზმის შესახებ) დამახინჯებული ინტერპრეტაცია. სამუშაოდ, ეს ტენდენცია საქართველოს თავდაცვის სისტემაში დღემდე ფეხმძიმებული, არც არამართლებად აჩინებს „ადამიანური კაპიტალი“ მნიშვნელობას სამხედრო ორგანიზაციებში.

საქართველოს ირვლივ განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური ტენდენციებში ჩამოყალიბებული სსს-ს ანტიმანაბნე თვლის დაზუკვის უფლებას არ იძლევა. ჩვენ ამისთვის არც დროის ფაქტორი გვეწყობს ხელს და არც რესურსები. დღეს, როგორც არასდროს, აქტუალურია საქართველოს სტრატეგიული კულტურის მიმშენებლობა კომპონენტების (ცვლილება და სამხედრო-სტრატეგიული სისტემების დასრულებული ფორმით ჩამოყალიბება).

**პრიგადაის მინერალი,
მინერალური შტაბის
ყოფილი უფროსი
პასხანაბ აბაბანაძე**

სამხედრო ბიუჯეტი მესამედ იზრდება...

ბოლო ექვს თვეში



სამხედრო ბიუჯეტის ხშირი ხორცა საზოგადოების არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს

2007 წლის დამლევამდე ორ თვეში ცოტა მეტია დარჩენილი და ამიტომ უცხარად ჩანს მთავრობის მერ ქვეყნის ბიუჯეტში წლის განმავლობაში ვინ იცის მტრადმტრე ცვლილებების შტანა.

ახალი ცვლილებები, ისიც ძაღზე მნიშვნელოვანი, კვლავ თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტს შეეხება, – ამჯერად ის 224,5 მლნ ლარით გაიზარდა.

თავდაპირველად, 2007 წლის სამხედრო ბიუჯეტი 513.270.000 ლარით განისაზღვრა. რამდენიმე თვეში პარლამენტმა დაამტკიცა ბიუჯეტში ცვლილებები და თავდაცვის კიდევ 442.100.000 ლარი დეკეტა.

955.370.000 ლარამდე გაზრდილი სამხედრო ბიუჯეტი მართლაც შამიშვლადი იყო, რადგან თითქმის 1 მლრდ ლარით დაფინანსებაზე სულ რაღაც სამი წლის წინ სამხედროები ვერც კი იციტებულენ.

მილიარდიანი ზღვრის გადასალახავად დიდხანს ლობინი არ დასტუმრებიათ. სექტემბრის დასაწყისში მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტში ახალი ცვლილების შტანის შესახებ განაცხადა, – ქვეყნის ბიუჯეტის საბაჯეტი ნაწილი 450 მლნ ლარით გაიზარდა, აქედან თავდაცვას 320 მლნ ლარი დეკეტა.

2007 წლის სამხედრო ბიუჯეტი 1.275 მილიარდი ლარის ოდენობით პარლამენტმა ძაღვედ დამტკიცა და ბუერს ნამდილად ეგონა, რომ შეწყველი სამხედრო ბიუჯეტის ზრდა ამით დამთავრა.

შუა ოქტომბერში მთავრობის ახალი წინადადებით სამხედრო ბიუჯეტში კვლავ გაიზარდა 224,5 მლნ ლარით და 1 მლრდ 494 მილიონ 515 ათასი ლარით(!) გახდა.

მელი სათქვლია, დარჩენილ რამდენიმე

ათულ დღე-ღამეში კიდევ მასსრებს თუ არა ხელისუფლება სამხედრო ბიუჯეტის გაზრდას, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო ექვს თვეში ეს საბუჯეტი მოხდა.

საიცარია თავად სამხედრო ბიუჯეტის ზრდის დანამტკიც, დაწიყო 513 მლნ ლარით და მთავრდება 1,494 მილრდ-ით!

სამხედრო ბიუჯეტის ექვს თვეში თითქმის საბუჯეტი გაზრდას სხვადასხვა ობიექტური მიზეზი აქვს. უპირველესად კი დროის დეფიციტი, – ქართულმა არმიამ უნდა მასსრლოს გადაიარაღება და მომხადება, სანამ ის ახალ ომში ჩაითრევე.

მჭირე მიზეზის კი მძიმე ისტორიული ფაქტორი განაპირობებს, – 2007 წლამდე ქართული არმიას მთავრობა ბიუჯეტის ნარჩენებს თუ არგუნებდა. რასაკერეველია, საჭიროა დაკარგული დროისა და შესაძლებლობების ანაზღაურება და სამხედრო კავკასიის რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური ბალანსის შექნა.

სამხედრო ბიუჯეტის ასე ხშირი ზრდა საზოგადოების არც ისე მჭირე ნაწილს ძაღვედ აღიზიანებს, თუნდაც იმტობი, რომ თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე ყოფილი მღალაჩინოსანი უცხოეთშია გაქეკული და თუკი გამოძიებისთან დახალებულ წყაროებს დაეუყრებოთ, იასინ ჩიხაბატქე არანაკლებ 15 მლნ დოლარის გატანა მასსწრო (სხვა ცნობით, ლაპარაკია 30 მლნ დოლარზეც კი). ბუნებრივია, საზოგადოება ეჭვობს, ხომ არ ვერტილებს სამხედრო ბიუჯეტის არამინიმობრივი ხარჯვა, რაც ეს შემდგომში უსათუოდ იჩენს თავს. გარდა ამისა, სამხედრო ბიუჯეტის ასე ხშირი ცვლილება ფინანსთა სამინისტროს მუშაობასაც აყენებს ჩრდილს.



მინაღმა მხოლოდ პრისხელ ხდება...

ქართველი სამხედრო
ინჟინერები
დანადგავა-განადგავს
სწავლობენ



ზაშურის ახლოს, მტკვრის სანაპიროზე მდებარე საველე ბანაკი დიდად არ გამოირჩევა სხვა საწვრთნელი ბანაკებისგან. ეგაა, რომ აქ, მინდორსა და ტყე-ღრეში, დღე-ღამე დაცოცავენ სამხედროები გრძელი რკინის ჯოხით ხელში და დროდადრო მიწას ჩაჩქიან...

სწორედ ასეთი შთაბეჭდილება შეიძლება დარჩეთ მათ, ვისაც მანამდე მჩაღმეტის მუშაობა არ უნახავთ. არადა სამხედრო პროფესიებიდან მჩაღმეობა იმით გამოირჩევა, რომ ამ ხელისობ კაცი მხოლოდ ერთხელ ცდება...



ეს ნაღმები და ქურევები ქართველმა მინდამებმა აბალქალაქის ყოფილი რუსული ბაზიდან ამოიღეს

ნაღმის კონსტრუქტორები შენაღმეს ერთი შეცდომის უფლებასაც კი არ უტოვებენ, ამიტომ, ალბათ, ვასაგებია, რატომღა შენაღმის საქმიანობა ასეთი სახისაა, მაგრამ მიზნობრივად.

სამხედრო ინჟინრების მომზადების პანაკში სხვადასხვა სამხედრო ნაწილიდან მოვლინებული სამხედრო ინჟინრები მართი განაღმებ-ანაღმებს როდი სწავლობენ, მათ ასწავლიან ხიდების აგებას, გზის გაყენას, რადიაციულად და ბიოლოგიურად დაბინძურებული ადგილების აღმოჩენასა და ლიკვიდაციას, წყლის გაწმენდას (სტატიის ავტორის ჭაიბიდან ამტკუბული და გაველტრული წყლის დაღვევც მოუწია. გერაფერი სამიზნება, თუცა იმის დროს ესეც შეძლება სანატრელი გავიხდეს) და ა.შ.



ქაობის წვალს ვერ რადიოაქტიურობაზე ამონებენ, შემდეგ ფილტრავენ და ისე გვეთავაზობენ დასალევადა-თუმცა-დაღვევისას ქაობის გემოს მიაჩნე გრძნობ...



ჯარისკაცები სიველე პირობებში სწავლობენ მენაღმის პროფესიას



რამდენიმე წული და სანტარი მზად არის

ხიდის დამგებ MTY-20-ს ხუთიოდე ნუთმი შეუძლია 18 მ სიგანის დაბრკოლებაზე საიმიეო ხიდის გაშლა...



„არსენალი“ პოლიგონზე შეყვდა და ესაურა ცალკეული საინჟინრო-ქიმიური ბატალიონის მეთაურს, ვიცე-პოლკოვნიკ და300) ანაბაჰვილს:

„სამხედრო ინჟინრების მომზადებას მილიონ ემიბის დიდი ყრადღება, რომ ქართული მიწა სავსეა სხვადასხვაანარი ნაღმი. ეს სამხელი იარაღია, ამიტომაც აუცილებლად უნდა გვეყვეს პროფესიონალი მნაღმები მათ გასაუწებლად. გარდა ამისა, ჩვენს შესაძლო მიწინააღმდეგეს „ნაღმურ იმში“ აუცილებლად უნდა მივეყვიოთ“, – გვითხრა ვიცე-პოლკოვნიკმა. სხვათა შორის, ამ სტატიის ავტორმა პირველი ინტერვიუ კიდევ ახალგაზრდა ლიტერატ დილი ასაბაშელის 1992 წლის ზაფხულში ჩამართვა, ცხინვალის მისადგომებთან, როდესაც მან ოსების ჩადებული ორი თვითნაკეი ნაღმი (სამლიტრანი მინის ქოლში ჩადებული ტრიტილი) პირველად გააუწებლა.

ველაზე საინტერესო კ, რაც თვალში მოგვება, უცხოური წარმოების ულტრათანამედროვე ტექნიკა გახლდათ, რომელიც სხვადასხვა ტიპის ნაღმის აღმოსაწინად და გასანიტრალეზად გამოიყენება. ძალიან კარგია, რომ ქართველი მწნაღმების განკარგულებაშია ისეთი ულტრათანამედროვე აპარატურა, რომლის მსგავსაც ერავსა და ავღანეთში იყენებენ კოალიციური ძალები. ასეთი აპარატურით უფრო ადვილია მნაღმითა წარმოების ნაღმების აღმოწნა, რომლებიც რუსეთმა უხვად მიწოდა სკარატისტულ ცხინვალსა და სოხუმს.

ირაკლი ალადაშვილი



გასაშლელი ხიდი 60-ტონიან სატრანსპორტო საშუალებებსაც უძლებს...



NATO-ს საინფორმაციო ცენტრი კავშირებს

„საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ“ საქართველოს მასშტაბით განაგრძობს საზოგადოებრივი ტონისძიებების რატარებს. ტონისძიებები მრავალი სახისაა: კონფერენცია-სემინარები სტუდენტებისა და სხვადასხვა ორგანიზაციისათვის, აქციები ქუჩაში, შეხვედრები დიპლომატიურ კორპუსთან და ა.შ. ოქტომბერში ცენტრმა საქმიანობის აქცენტი საქართველოს რეგიონებზე გააერთა, რადგან უაღრესად მნიშვნელოვანია ქართველი საზოგადოება ფლობდეს დეტალურ ინფორმაციას ნატოს შესახებ.

გაეროს დამკვირვებელთა მისია ზემო აფხაზეთში

18 ოქტომბერს, ზემო აფხაზეთის სოფელ აჟარაში ნატოს საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები გაეროს დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრის მონაწილეებმა, ძირითადად, ისაუბრეს ცენტრის მიერ განხორციელებულ და სამომავლო დაგეგმილ ღონისძიებებზე. შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა ნატოში ინტეგრაციის გზაზე არსებული საკითხები, არის თუ არა საქართველო მზად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობისათვის. ამასთან, ისაუბრეს აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის გზებზე.

შეხვედრები ზემო აფხაზეთში

26 სექტემბერს, ცენტრის ზემო აფხაზეთის ბურომ სკოლებში შეხვედრები ჩაატარა. საუბრები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შესახებ სკოლის მოსწავლეებთან, მასწავლებლებსა და დირექტორებთან გაიმართა. შეხვედრაზე დამსმული კითხვები, ძირითადად, ეხებოდა უსაფრთხოების თემას. ზემო აფხაზეთში მცხოვრებ ახალგაზრდებს, აინტერესებდათ, რამდენად იქნება მათი უსაფრთხოება დაცული საქართველოს ნატოში გაწევრების შემთხვევაში. ცენტრის წარმომადგენელმა ისაუბრა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ფუნქციებზე, საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე, ადამიანის უფლებების დაცვასა და ბუნებრივია, კოლექტიურ უსაფრთხოებაზე. შეხვედრის მეორე ნაწილს დისკუსიის ფორმა ჰქონდა, სადაც ცვლად გამოთქვა თავისი აზრი.

5 ოქტომბერს, საინფორმაციო ცენტრმა ნატოს შესახებ ზემო აფხაზეთში, სოფელ ჩხალთაში საორტული ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებების დევიზი იყო „ჯანსაღი საქართველო NATO-ში“. შეხვედრის დასასრულს ორივე გუნდის მეთაურებს დაურიგდათ ცენტრის მიერ გამოცემული ლიტერატურა „ჩრდილოატლანტიკური ალიანსის“ შესახებ.

საინფორმაციო ცენტრი NATO-ს შესახებ სამომავლოდ გეგმავს საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარებას. 29 ოქტომბრადან 3 ნოემბრის ჩათვლით საქართველოში გაიმართება NATO-ს დღეები, რომლის ორგანიზატორიც წსორედ NATO-ს საინფორმაციო ცენტრი იქნება.



რთველი კახეთში

14 ოქტომბერს NATO-ს საინფორმაციო ცენტრის კახეთის ბუროს წარმომადგენლები მოხალისე სტუდენტებთან ერთად სოფელ კისისხევის მცხოვრებთა მურმანის დაკრფვასა და დაწურვას შეხმარდნენ. მოხალისეები რთველის მონაწილეებს უხსნიდნენ, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს NATO-ში გაწევრება. ამასთან, ცენტრის წარმომადგენლებმა ვაამახვილეს ყურადღება NATO-ს როლზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში. ცენტრის მოხალისეებმა სოფელ კისისხევის მოსახლეობას ფლაერები, ბროშურები და ჟურნალები დაურიგეს. კახეთის მოსახლეობას ჰქონდა საშუალება ინფორმაცია მიეღო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიზნების თაობაზე და აქტუალურ კითხვებზე კომპეტენტური პასუხები მიეცინა.

ომის მოზონაზები

აფხაზეთის ომის საზღვაო ოპერაციების დეტალები



1992 წლის 1-ელ ნოემბერს სოხუმის რადიოტექნიკური პოსტი გადაეცა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. პოსტმა ფუნქციონირება საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში გააგრძელა.

და აი, იმ ნოემბრის ერთ ძალიან ბნელ დამეს (ეს იყო ნოემბრის პირველ ნახევარში), ვახტის ვახსნის შემდეგ, რადიოკატორის ეკრანზე დეაგვიქსირე სოხუმის ყურეში ორი მოზონდილი წერტილი: პულსები და დისტანცია ერთზე იყო – 195 (გრადუსი) – 65 კაბელტოვი (6,5 მილი), მუროზე – 205 (გრადუსი) – 55 კაბელტოვი (5,5 მილი). ოპერატიულმა მორიგემ დამიზუსტა, რომ ისინი იყვნენ რუსეთის სასაზღვაო ხომალდები (ПСКР). უცებ შევინაწი, რომ ერთ ხომალდს მოსცილდა მკრთალი, თითქმის შე-

უმწიკველი წერტილი, და გაემართა მერე ხომალდისკენ, შემდეგ ისევ დაბრუნდა პირველთან, ცოტა ხნის შემდეგ გაემართა მეორისკენ და ასე 3-4-ჯერ. ყველაფერი ეს მოვასწერე ოპერატიულ მორიგეს. შემდეგ წერტილი (სამიხნე) წამოვიდა ჩრდილოეთით, ე.ი. ქალაქისკენ (40 კტ-ში უკვე მკაფიოდ გამოჩნდა), სატვირთო პორტთან ზღვაში დაგეხებულ ტივტივას დასავლეთიდან შეშურა, შევარდა პორტში და ორი **НУРС**-ი გაისროლა (აფეთქების ხმა გაივინე). მერე კატარა გამოვიდა პორტიდან და სრული სვლით გაემართა სამხრეთით. მიუხედავად ჩემგან მითითებული სექტორისა, მესინალები სიბნელეში ვერ ხედავდნენ კატარას. შემდეგ კატარა შეჩერდა და **НУРС**-ები დაუშინა ნაპირს. ახლა ის მესიგნალებმაც დაინახეს. როგორც მე-

ორე დღეს გაირკვა, კატარა ესროდა ე.წ. ვოსდაჩას, სადაც იმ დროს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა ცხოვრობდა.

ახლა კატარა დასავლეთისკენ წავიდა, შეუქრას 8 კაბელტოვში ჩაუარა და გულაუის მხარეს მიიძალა. დაფიქსირებული პულსები და დისტანციები რუკაზე დაიკრუნე, კატარის სიჭკაზე 30 კვანძი გამოვიდა. ეს იყო **HEBKA**-ის ტიპის წყალქვეშა ფრთიანი კატარა.

ის დროა, როდესაც ზღვა უპატრონოდ გვაქვს მიტოვებული. მიუხედავად სოხუმელი მჭიდვარების მითხრისა, არც ერთი შეიარაღებული გემი ან კატარა არ გვაყვდა, 1993 წლის იანვრამდე სამოსოდ არაფერი გაკეთებულა. აფხაზები (რუსები) როგორც მოეპოვებოდნენ, ზღვაზე ისე დადიოდნენ. ძალიან ხშირად „სტუმრობდნენ“ ტამიშს, რომელიც ტვარჩეულთან სიახლოვის გამო ხელსაყრელი იყო, – ტყე-ტყე, უდაბური ადგილების გავლით ვადიოდნენ ტვარჩელში, რომელიც ჩვენმა ჯარებმა მიატოვეს და რომლის ადუბა ვერ „მოხერხდა“ მთელი ომის განმავლობაში.

1992 წლის ოქტომბერში სეპარატისტებმა ტამიშში სადესანტო ბარაკ **МСБ-12**-ით დესანტის გამოსხმა სცადეს. მთვე თვეში, **ДАНБ**-ს ტერიტორიაზე შეუკლმფერინის დაკლდომის შემდეგ დაკავებულმა ერთმა მფრინავმა განაცხადა (მე-12-ე სკოლაშიან იდგა რუსეთის არმიის **ДАНБ**), რომ ჰაერიდან დაინახა ნაპირიდან მოშორებით, სამრუეთ-ადმოსავლეთისკენ მიმავალი კატარა, ე.ი. ჩენი სანაპიროს გასწვრივ, რა თქმა უნდა, მჭერვარების გადასხმის მიზნით.

ქართული სეინერები ფოთის სამხედრო ნავსაყუდელთან



1993 წლის მარტის შემოტევისას სოხუმის შუქურის ტრაგერსზე გამოჩნდა აფხაზური (რუსული) კატარღების ფლოტი. მათია 7 ერთეულის შემადგენლობით. ბილი მოქმედება ერთი კატარღის შუქურასთან 1 მილზე მიახლოებით შეზღოვდა. ამ დროს ქართულ არტილერიას მათთვის არ ეცვალა, რადგან გუმისის ფრნტზე გაეცხარებულა ბრძოლა მიმდინარეობდა.

აფხაზები (რუსები) ერთ ხერხსაც მიმართავენ: დიდი ბარჯის მფარველობით ზღვაში გამოჰყავდათ კატარღები, რომელთა აღმოჩენა, მათი მცირე ზომის გამო, რადარით დიდ მანძილზე უფიქროსი იყო. კატარღები შეიარაღებული ტყვიამურტყვევებით, C-5 და C-8 ტიპის НУРС-ებით, ზღვიდან ცეცხლს უხსნიდნენ ჩვენს პოზიციებს და ჩვენს კომუნიკაციებზე და ზურგში გადაიღებდნენ.

ასე რომ, აფხაზების ოქმი აფხაზები (რუსები) ზღვაზე უფრო აქტიურობდნენ, ვიდრე ქართველები. თუმცა ქართველებს შეეძლოთ უფრო ფართოდ ემოქმედათ დიდი წყალმწვეთის ტრაულერების გამოყენებით, რადგან აფხაზების ზურგს ამოფარებულ რუსებს არ შეეძლოთ ამკარად თავიანთი დიდი ხომალდების გამოყენება. სამაგიეროდ, საზღვაო მსუბუქი ძალები მაქსიმალურად გამოიყენეს. ქართველებმა მხოლოდ ორი რეიდი ჩაატარეს მოწინააღმდეგის ნაპირებისკენ. 1993 წლის 30-31 მაისს ზღვაში გავიდნენ ბარჯ „კოლორი“, БМ-21-ГРАД-ით, სეინერი „განთიადი“ – შეიარაღებული 2 ДШК-ით, 2 К8ВТ-ით, ЗУ-23 და C-8 კასეტებით, ასევე, ორი კატარღა. სოხუმის შუქურიდან 285 გრადუსზე, 63 კაბელტონის დამორებით დაუშინეს ცეცხლი მოწინააღმდეგის სანაპიროს. ამოჯანის შესრულების შემდეგ ჩვენი არმადა ბაზაში დაბრუნდა. სხვათა შორის, ცეცხლის

გახსნიდან რამდენიმე წუთში გუდაუთიდან „გამოვარდა“ მოწინააღმდეგის ხომალდი და სრული სვლით გამოემართა ჩვენი ხომალდებისკენ. ეს გახლდათ მოწინააღმდეგის „გრიფი“, მაგრამ საზღვაო ბრძოლა არ გამართულა – რაკი დარწმუნდა, რომ ვერ დაეწვოდა, „გრიფი“ უკან დაბრუნდა. ალბათ, ისიც გაითვალისწინა, რომ საცეცხლე სიძლიერით ვერ აჯობებდა ქართველებს. არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ამ „გრიფებს“ ბათუმის გემთმშენებელი ქარხანა აგებდა, – მოწინააღმდეგეს „გრიფები“ ჰყავდა, ჩვენ – არა. მთელი წლის განმავლობაში ერთი „გრიფი“ ვერ მიიღეს ჩვენმა სამხედრო მებრძოლებმა.

ჩვენმა კატარღებმა, მოწინააღმდეგის ფლანგზე საცეცხლე ზემოქმედების მიზნით, მთლიან რეიდი გუმისისა-ახალი ბორჩის რაიონში ჩაატარეს.

მოწინააღმდეგეც ჯეროვნად შეაფასა „კოლორის“ ფაქტორი, თვითონაც დააყენა ბარჯა „ბოიფეუ“, „გრადი“ და ზღვიდან გვესროდა. არც რუსების შავი ზღვის ფლოტის ხომალდები აკლებდნენ ხელს, მაგალითად, СКР „СМЕЛЛИВИЙ“, ხოლო გუდაუთაში რეგულარულად შეჭობნდათ საწვავი სოჭიდან, ტუაფუხედან, ნოვოროსისკიდან, სეგასტოპოლიდან.

14 წელი გავიდა აფხაზების ომის დამთავრებიდან და ბევრ კითხვაზე ჯერ კიდევ არ არის გაცემული პასუხი. ან გავცემა კი ოდესმე? რატომ დავმცხვრებით გამარჯვებულ ომში? თუ იმ დღეებს გავიხსენებთ, კიდევ ბევრი კითხვა გავაგონებდა. კერძოდ:

1. რატომ გაუმყრდი გუმისისაზე?
2. რატომ დაკაბრუნეთ გუმისისაზე სამჯერ გადასული ჯარი უკან?
3. რატომ არ ჩავეკეტით ზღვა, როდესაც გავრა ჩვენი იყო და მტერს სოჭიდან გემებით შემოჰყავდა კახაკები და ჩრდილოკავკასიელები გუდაუთაში?
4. რატომ დაეთმოთ გავრა და გზა გავუხსენით მტერს?
5. რატომ არ შევედით ტყვარჩელიში?
6. რატომ არ გადავედით კონტრშეტევაზე 1993 წლის მარტში, როდესაც ფრონტი პრაქტიკულად გახსნილი იყო?
7. რატომ გაეიტანეთ მიმე შეიარაღება და ტექნიკა სოხუმიდან?
8. რატომ არ გავაგრძელებთ ბრძოლა და უკვც დაეთმოთ აფხაზთი? პასუხის გამცემი არ ჩანს.

იმარჯვებს ის, ვისაც სურს გამარჯვება!
ტრისტიან დანელია
27.09.07



მცირე ტრალერი „განთიადი“

1993 წლის 2 ივლისს მოწინააღმდეგე ორი ხომალდით (ერთ-ერთი იყო კატარღი „დაგომისი“) ტანშიში დასწრეს გავალსა. საფრთხის ბრძანებით, 3 ივლისს, დილიდან მცირე ტრალერი „განთიადი“ სკურჩაში დადგა, რომ გაეკონტროლებინა ზღვის ავჯატორია სოხუმსა და ომაშირის შორის.

5 ივლისს ომაშირეში შევიდა საექსპედიციო ხომალდი „ვექტორის“ მებრძოლების, საწვავ-საპრობის მასალებისა და სხვა ტვირთის სოხუმში გადასატანად. 7 ივლისს, დამის 300 საათის შემდეგ, „განთიადი“ გამოემართა გავრა, „ვექტორის“ რომელიც იტყობინებოდა, რომ მას მისვლეს

ორი უცნობი კატარღა და ითხოვდა დახმარებას.

„განთიადი“ „ვექტორის“ შესახვედრად გაემართა. როდესაც მიუახლოვდა „ვექტორის“, მის კაპიტანს მიუცა მითითება, შეეცვალა კურსი და წასულიყო მარჯვნივ, ნაპირისკენ. ამ მანვერის შემდეგ კატარღები ზღვის მხარეს მოექცნენ და „განთიადი“ ცეცხლის გასასხნელად მტერს მანვერების საშუალება მიუცა. როდესაც „ვექტორის“ საჭირო მანძილზე გავიდა, „განთიადმა“ КРВ-ით, ДШК-ით და ЗУ-23-ით ცეცხ-

ლი გაუხსნა მოწინააღმდეგის კატარღებს. მოწინააღმდეგის ორივე კატარღა განადგურდა, „ვექტორის“ მშვიდობიანად მიადგა მისადომს თავისი მუზავრებითა და ტვირთით.

მცირე ტრალერმა „განთიადმა“ კი თავისი საბრძოლო აღონიანის შესრულება გააგრძელა.

მცირე ტრალერი „განთიადის“ ყოფილი მეთაური III რანგის კაპიტანი შ. კობალიანი

„მე გააოცა და ჩემი

ერთი რიგითი რეზერვისტის შთაბეჭდილებები

ავგისტოს დასაწყისამდე მე ერთი უბრალო ფურნალისტი ვასვლიდი. ახლაც კი, გარდა ამისა, ვარ საქართველოს შეიარაღებული ძალების მეთექვსმეტე კადრირებული ბრიგადის, 105-ე ბატალიონის მეოთხე ასეულის, პირველი, ოცეულის წევრების მიერ შერჩეული და სხვების მიერ აღიარებული – „ღვეცნდარული“ ოცეულის რიგითი ელისაშვილი. ხუმრობის გარეშე ვამბობ, ძალიან მეამაყება რეზერვისტობა. კონკრეტულად კი ის, რომ ახლა მცირე, მაგრამ მინც მეტნაკლებად კომპეტენტური სამხედრო მომზადება მაქვს გავლილი და ვიცი, რომ თუ ჩემს ქვეყანას დასჭირდება, მე ერთი გულანთებული მონახლისეობისა და რომელიმე შენერთთან თხოვნით მისვლის პერსპექტივა კი არ მაქვს, არამედ ხუსტად ვიცი, სად უნდა წავიდე, სად უნდა მივაკითხო ჩემს ფორმას, აღჭურვილობას, ჩემს პირად იარაღს და ისიც ვიცი, ვისთან ერთად მომიწევს ბრძოლა. თუმცა ჯერ მივეყვით თავიდან და მეტ-ნაკლებად წვრილად მოგასხენებთ ჩემს რეზერვისტულ შთაბეჭდილებებს.

„ლოკომოტივი“ სტადიონზე შეკრებისა და უკრაინული „ბოვდანებით“ კოჯორში აყვანის შემდეგ პირველი გამოცდა სამხედრო ნაწილში გველოდა, შემდეგ (სამწუხაროდ) ეს გამოცდა მთელ 18 დღეს გახსდებოდა ფონად. გამოცდა კი უსაქმურად ჯდომბა იყო. სამხედრო ნა-



„კომანდოს ჯგუფური ცეკვა“ სასჯელის ფორმა რეზერვისტებისთვის

წილში მისვლისთანავე, არც მეტი, არც ნაკლები, 4 საათი ტყეში გაგვატარებინეს. გულის გამაწვრილებელი 4 საათის შემდეგ გაირკვა, რომ ექიმებს ვეღვლით სამედიცინო შემოწმების გასაჯღულად. მერე კიდევ 3 საათმა შემოწმების მოლოდინში გაიარა. სამედიცინო შემოწმება გამოვინებლად იილი აღმოჩნდა. ყველას მიმართავენ კითხვით: „გაწუხებთ რაზე?“ უმარაველსობამ უკვასუხეთ: „არა“. „ოლიოლი, ძალიან კარგე“, – იყო პასუხი. თუკი ეტყვიდი, რომ რაზე გაწუხებდა, დიდ კვლევას არ იწყებდნენ.

ვეტყვიდნენ, – არა უშავს, 18 დღეს როგორმე გაუძლებო. ამ ზერელე პასუხის ის მოჰკვდა, რომ ასეულში რამდენიმე მართლაც ავადმყოფი ახალგაზრდა გვეყავა, მათ იქ ყოფნას, მათ მომზადებაში ფულისა და ენერჯის დახარჯვას რა აზრი ჰქონდა, გაუგებარია. ერთი უნდა ვთქვა, – ჩემდა სასიამოვნოდ „გაკომისიავება“ პოპულარული თემა არ აღმოჩნდა და უმეტესობა აშკარად მოწადინებული იყო რეზერვი გაეცვლა.

სამედიცინო შემოწმების შემდეგ კარგ ხანს ფორმებს გვირებდნენ, – ისე, ქმრის, ბათინკების, მათარების, ზურგჩანთებისა და „პონჩო“ წოდებული საწიმიარი ლაბადების – (პონჩოზე ქვემოთ ვრცლად მოგახსენებთ) დარიბების პროცესი ლამის 18-დღიანი ვადის დასრულებამდე გაჭიანურდა. პირველ დღეს ლოდინით, რიგში დღითმთა და უსაქმრობით გატანჯულებს პირველი სასიამოვნო სურპრიზი სასადილოში გველოდა. ჩემდა გასაოცრად, სასადილო ნამდვილად NATO-ს სტანდარტის, – ახალგაზრდონტეხული და ძალიან კომფორტული აღმოჩნდა. და რაც მოაგარია, კერძები ხარისხიანი და გემრიელი იყო. უნდა გამოვიტყვი, ჩემნაირი აზიზი მჭამელისათვის ეს ნამდვილი სურპრიზი იყო და მთელი ოცეულისა და გასაკვირად მეც და ჩემსავით ერთი გამხდარი რეზერვის-

დადლილი რეზერვისტები
იაღლუჯაზე სოლოების შემდეგ



ტი უზომოდ ბევრს გვახლებოდათ, მათ შორის ჩემთვის საძულველ წვნიანებსაც კი. მოკლედ, ქება და დიდება ეროვნულ გვარდიას ჯანსაღი, სუფთა და გემრიელი კვებასთვის. თუმცა ორი პრობლემა მაინც იყო: დაუგეგმავა და კატასტროფული სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები. ჯერ ამ უკანასკნელზე ვთქვათ: იერთო NATO-ს სტანდარტების ყაზარმას, რომელიც სინამდვილეში ყველაზე იაფვასიანი სამშენებლო მასალით, რომ იტყვიან, თათარიანხდა და ამიტომაც ძალზე უხარისხოდ გარემონტებული აღმოჩნდა, ძალზე ცოტა ჩენმა, პირსაბანი და საშხაპე ონკანი ჰქონდა. თავად განსაკუთრებული — ორსართულიანი ყაზარმის მეორე სართულზე ორ ასეულს — 200 კაცზე მეტს — 8 ჩენმა, ათამდე პირსაბანი (ამას კიდევ არა უშავს) და 16 საშხაპე ონკანი ჰქონდა. ამ 16-დან 3 მეორე დღესვე გაფუჭდა, დანარჩენი 5-6 თანდათან მოიშალა. თუმცა ამასაც არა უშავდა, მაგრამ საშხაპეებს აკლდა მთავარი — წყალი, არა მარტო ცხელი, არამედ ცივიც კი. ცხელი წყალი მხოლოდ ჩვენი წამოსვლის წინ „აგვიწვია“. წარ-

ლობა იყო. დიდად თავს არავე იმუხებდა წყალზე ზრუნვით. არადა რეზერვისტთა უმეტესობას სწორედ უწყლობა აწუხებდა და ჩვენი უკმაყოფილების უმთავრესი მიზეზიც სწორედ ეს იყო. მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელობა სტო-აკური სიმშვიდით ისმენდა ჩვენს ჩი-

ვიყო) წნევა არ ჰყოფნიდა. სასაცილო კი იყო, მაგრამ ვაი იმ სიცილს. მეორე პრობლემა დაუგეგმავა იყო, ლამის ქოსური დაუგეგმავა, რომელიც ყველაფერს ეტყობოდა და რომლის გამოც საათობით ტყეში ჯდოდა და ბირჟათა გვეწვედა. ბირჟათა ჩვენ სამხლ-



„პონიოები“ მხოლოდ დეკორატივი ალმოჩნდა



„შეუპოვარი რეზერვისტები“

მოდივნივთ, რა „სამური“ არიმატი იფორთხებოდა ყაზარმა საველე მეცადინეობებიდან ან პოლიგონიდან ორი ასეულის დაბრუნების შემდეგ. ჯანია გვარადეს, თუ ომი იქნა, ცხელ წყალსა და გამართულ საშხაპეს ვინ ოხერია მოითხოვს, მაგრამ ჩვენ ომში ხომ არ ვიყავით?! ყველაზე აღმაშფოთებელი მაინც ბრიგადის ხელმძღვანელობის გულგრი-

ვილს და ყურს არ იბერტყავდა ვითარების გამოსასწორებლად. ჩვენც რაღა დავგრჩნოდა, ებანაობდით ისე, როგორც ვახერხებდით. მძიმე ჰიგიენურ ყოფას კი იუმბრის ეუპირისპირებდით. ახლაც თვალწინ მდგას სენა — პატარა საბაზანოში შეფუჭული ოცი ჩაცუტული კაცი საშხაპე ონკანებით ხელში. ჩაცუტული იმიტომ, რომ წყალს (თუკი

რო ენაზე გადათარგმნით და „ტაქტიკური ბირჟათა“ უწყობდით. მოკლედ, დაუგეგმავობის გამო პირველი 5 დღე ღონინში და რაღაც საბუთებზე ხელის მოწერაში გავხარჯეთ. თავისთავად, საბუთები და მათზე ხელის მოწერაც აუცილებელი იყო, მაგრამ ხომ შეიძლება ყველაზე ერთბაშად ხელის მოწერა?! ჩვენ კი ჯერ ერთ საბუთს მოვაწერდით ხელს, შემდეგ მეორეს და ასე გაგრძელდა 5 დღეს. დაეწვიოთ ეს დალოცვილი დოკუმენტები და ერთ ჯერზე მოვაწერდით ხელს. ეს „გენიალური“ იდეა რატომღაც თავადც არ მოსვლიათ თავში და არც ჩვენს რჩევას ითვალისწინებდნენ. მოკლედ, ამ ხუთ დღეში გავკაჟდით ღროის უსაქმოდ მოკვლაში, კიდევ კარგი, ზოგაერთის წიგნები ჰქონდა წამოდებული და ეს დაგვემარა.

ახლა დადებითზეც ვთქვათ. პირადად მე ძალიან მომწონდა ლამაზად შეკერილი და შეფერილი სამხედრო ფორმა. მართალია, დაუნდობელმა თურქულმა ბათიკებმა ლამის ნახევარი ასეული დააკოვლა, მაგრამ ყოველ დილას ყველა მაინც გულმოდგინედ აპრილებდა. საოცარი განცდა დაგვეყვულა, როცა იარაღი დაგვირთეს, მართალია, კარგად ნაცვით და ნარემონტალი, მაგრამ მაინც საკუთარი ავტომატები. ყველა წუწუნებდა, მოგვედით ამის თრევიით, მაგრამ

სინამდვილეში ყველას მოსწონდა ფორმითა და იარაღით სიარული. ცარიელი იარაღისა და მჭიდების ტარებას კი გაცილებით სჯობდა პოლიგონზე სროლა. 201 ტყვია ვისროლეთ თითოეულმა. თავდაპირველად, ზოგიერთს არაოუ დატენილი იარაღის, არამედ ვაზნების ხელში დაჭერისაც ეშინოდა, მაგრამ მერე ყველას მოსწონდა ავტომატის კაკანი, მიუხედავად იმისა, რომ სანამ „დავაკაკანებდით“, იაღლუჯვას პოლიგონის უღმერთო სიციხეში საშინლად გაგვითანავა. პოლიგონზე სწავლებებს წინ უძღოდა საკვლე მეცადინეობები – სინამდვილეში ასეთი მეცადინეობები ოთახში უნდა ტარდებოდა, აუცილებლად დავის თანხლებით, მაგრამ ეს ფუნქცია ჩვენ არ გვჩინდა. ამბობსაც ელემენტარულ სამხედრო ცოდნას ჩვენი ასეულის ოფიცრისაგან ტყეში ვივლებდით და გუაჯახილად უნდა ითქვას, რომ მის გაკვეთილებს წინი არ დაეღებოდა. ეს იყო ლეიტენანტი გიორგი მულაძე! ჩვენი გაკვირვება გენახათ, როცა გავიგეთ, მხოლოდ 23 წლისააო. დიას, ამ პატარა ბიჭმა მოახერხა 28-38 წლის ასაკის ხალხით დაკომპლექტებულ ასეულში სამავალითო დისციპლინის დამყარება და დიდი პატივისცემის მოპოვება. ღმერთმა უმრავლეს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მუქლადისთანა ოფიცრება.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ვისწავლეთ ელემენტარული რამები. ის, რის აზროვნამაც, სხვა მიზეზებთან ერთად, აუხანაუთიმი ომი წავგავებინა. იმ „რამებიდან“ მხოლოდ იმ სამს ჩამოვივლი, პირადად მე რომ გამაოგნა და აღმაფრთოვანა. პირველი – „საჩკაობა“ სა-



105-ე ბატალიონის, IV ასეულის პირველი „ღვეგენდარული“ ოცეული

მარტყვიანი იყო. გარდა იმ რამდენიმე რეზერვისტისა, რომლებიც ყოველი საუნების შემდეგ მედპუნქტში გარბოდნენ ვითომდა ცუდად ფონის გამო, უმეტესობა ძალ-ღონეს არ იმუშებდა, რომ არ ჩამორჩენილა მწყობრს. მეორე – მარშ-ნახტომის დროს გამოვლენილი შეუპოვობა. მარშ-ნახტომი აუცილებელი რამ ყოფილა ყველა რეზერვის ბატალიონისათვის. წამოსვლის წინაც ღამის სამ საათზე დაგვაწყვეს და უკუნ დამეში სრული აღჭურვილობით გაუვლიქით გზას. კოჯრიდან იაღლუჯაძე ღამის 40, თუ მეტი არა, კილომეტრი შეუსვენებლად, 6 საათში გავიარეთ. რამდენიმე ფენხნადობის გარდა, თითქმის მთელმა

ბატალიონმა გაიარა ეს მანძილი. ისეთებმაც კი, რომ მეგონა დასაწყისშივე დაეცემოდნენ და წუწუნს მოჰყვებოდნენ. მესამე – სწორედ აქ გავიცანი ბევრი ნაღვი კაცი, ნამდვილი პატრიოტი. არ მეგონა, ამ სიბერეში (29 წლისა ვახლავართ) ახალ მეგობრებს თუ გავიჩინდი, მაგრამ დასტურ ასეა. ჯარში, რეზერვში გავიჩინე მეგობრები, რომელთადაც ახლაც ვმეგობრობ, ჯარის შერეც ვიცი, რომ ვითარების გართულების შემთხვევაში ძალიან გულიან და საიმელო ბიჭებთან ერთად ბძობლა და სამსახური მომიწევს.

დასასრულ, როგორც მკითხველს დაგვარდა, „პონჩოებზე“ ვოქტათ. საწვიმარი ლაბაძე დიდის ამბით დავიკრივეს. ჩვენც გავწივებისთანავე ამაყად მივირგეთ, მაგრამ პაი დედასა, რამდენიმე წუთში ქათმებავით ვიყავით გაწყულნი. „პონჩოები“ წვიმის წყალს ქაღალდზე შეტად ვერ აჩერებდა. კარგი იქნება, თუ ვისაც ეს ევალება, გარკვევს, ვის მოვედა აზრად ასეთი საწვიმრების ყიდვა.

და კიდევ, კარგი იქნებოდა ეროვნულ გეარდას მოემზადებინა უფრო ინტენსიური და კომპეტენტური სასწავლო პროგრამა. ჩემი მიერძალბებული აზრით, რეზერვისტის ტყვიის საწყის სინქარზე უფრო საჭირო და აუცილებელი ცოდნა სჭირდება. თეორიულ მეტად პრაქტიკა, უფრო ინტენსიური პრაქტიკა საჭირო. ხალხი რომ შზად არის თავდადავლული ემსახუროს თავის ქვეყანას და 18 დღის განმავლობაში თავი არ დაზოგოს, ამაში კი თავად დავერწმუნდი.

105-ე ბატალიონი მარშ-ნახტომის დროს.





თურქეთის

საქსამსახურების ორგანიზაციის თაობაზე

სამხრეთ კავკასიაში თურქეთის პოლიტიკა ოლიგანვე ორმაგ სტანდარტებზე იყო და არის აგებული. აფხაზეთის ომში თურქეთს თითქოს ნეიტრალური პოზიცია ჰქონდა, - ის ყოველთვის აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, თუმცა თვალს სუჭავდა თურქეთში მცხოვრები აფხაზთა დიასპორის აქტიურ მონაწილეობაზე როგორც საქართველოს წინააღმდეგ ომში, ასევე სეპარატისტების საბრძოლო იარაღთა და ტყეა-წაშლით მომარაგებაში. თურქეთის ვეჭვები ამჟამად რეგულარულად შედიან აფხაზეთის პორტებში, ხოლო თურქი ბიზნესმენები (უპირველესად, აფხაზური წარმოშობის), საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ნებართვებისა და ლიცენზიების გარეშე აქტიურად მონაწილეობენ აფხაზეთის ტერიტორიაზე სეპარატისტების მიერ ორგანიზებულ ბიზნესპროექტებში. ეს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას ფინანსურად და მორალურად სერიოზულად აძლიერებს.

საინტერესოა, რომ ჩვენი ხელისუფლება და მასმედია უფრო ხშირად აქცენტს აკეთებს აფხაზეთის რუსი ბიზნესმენებისა და კომპანიების მონაწილეობას სეპარატისტების ბიზნესპროექტებში, თურქეთის ანალოგიური მოქმედებები კი რატომღაც უპასუხოდ რჩება. ამ დროს კი თურქეთი, როგორც მეზობელი ქვეყანა და ნატოს მნიშვნელოვანი წევრი, აღიარებულია საქართველოს ერთ-ერთ სტრატეგიულ პარტნიორად (რაც ნამდვილად ასეა) და მასთან მჭიდრო სამხედრო-ეკონომიკური და პოლიტიკური კონტაქტების გამო საქართველოს საგარეო პოლიტიკა რეკონიში ამჟამად დაუზღაურებელია - სახეზეა ურთიერთობების გაუარესება სომხეთთან, ქურთებსა და ნაწილობრივ საბერძნეთთან.

ამიტომ ჩვენი ხელისუფლება ვალდებულია თურქეთისგან აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ უფრო აქტიური პოლიტიკური, დიპლომატიური და ეკონომიკური ღონისძიებების გატარება მოითხოვოს. მეგობრობა ხომ ომშირევია.

თურქეთის საქსამსახურები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ამ ქვეყნის გეოპოლიტიკურ ვეჭვებში. საგარეო პოლიტიკაში „აღმოსავლური ემპაიკობის“ გამოყენების ერთ-ერთ ფუნდამენტურ და მიმდევრულ დღესაც ცდილობენ როგორც და შორს გამიხსნეულ პოლიტიკური თამაშები დაეცემოდნენ და განახორციელონ.



თურქები ყოველთვის უაფიფილდენ ჩვენში ბოვიკების კავშირს მათ საქსამსახურებთან, თუმცა გასული საუკუნის 90-იან წლების მეორე ნახევარში მიმდარი ფაქტები უფრო საწინააღმდეგოზე მეტყველებს. 1996 წლის 16 იანვარს თურქეთის საზღვაო პორტ ტრაბზონში ცხრაკაციანმა ტერირისტულმა ჯგუფმა, სადაც აფხაზი ეროვნების ბოვიკები ჰარბობდნენ, ენიმე მუჰამედ ტოკუჯანის მეთაურობით მძევლად აიყვანა ბორან „აერასის“ 221 მგზავრი (სადაც 88 რუსეთის მოქალაქე იყო) და ეკაიპავს წვერი.

მცირე დღესი: მოამბედ ტოკუჯანი (იგივე ტუშუბა, იგივე გაბლია) ეროვნებით აფხაზი, თურქეთის მოქალაქე სამხედრო სპეციალური მომზადება, როგორც სხვადასხვა წყაროები ირკვევა, თურქეთში გაიარა. არის „შეის შამილის შვილიშვილების“ ბოვიკების ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი და შამილ ბასაევის მხარდამხარ მებრძოლა

საქართველოს წინააღმდეგ. აფხაზეთის ომის დასრულების შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა ჩვენთვის ომებში. რუსეთის საქსამსახურების მტკიცებით, თურქეთიდან ჩვენთვის იარაღი, ძირითადად, მას შეჰქონდა. ამჟამად მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

უნიჭოდ დადგმულთ სპექტაკლი „აერასია“, პანამის ღრღობით მცურავი



საქართველოს პარლამენტი
საგარეო ურთიერთობების
კომიტეტი

ბორანი, ერთ-ერთი რუსული ფირმის დაფარბული იყო და რუსეთ-თურქეთის შორის გადგარულ რისკებს ასრულებდა, - ვადაყვარდა ტურისტები და გაადაქვინდა ტვირთი.

